პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წელიწადი პირველი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქრევკომის
ორგანო.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტერნის ქ., № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა დილ 10 ს.—2 ს.
ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 1476. მდივნის № 19 საერთო №

[illegible] და ფასი
და გაცემა სწარმოებს ქართველთა ცენტრალური ბეჭდვითი განყოფილება-ში, რუსთაველის ქ., № 4.
ტელეფონი №

№ 207 ხუთშაბათი, 10 ნოემბერი, 1921 წ. ყოველდღიური გაზეთი ხუთშაბათი, 10 ნოემბერი, 1921 წ. № 207

10 ნოემბერი
ხუთშაბათი

1918 წ. რ. ლიუქსემბურგი განთავისუფლდა საპყრობილედან.
1906. პოლიტიკური პატიმრის—სევასტიანოვის თვითმკვლელობა „ცარსკო-სელსკოეს" ციხეში.

დღიური

ა. წ. 20 დეკემბრისათვის იწვევენ სრულიად რუსეთის საბჭოების მეცხრე ყრილობას.

გამოაშკარავებულია პოლონეთის შტაბის [illegible], რომელსაც უნდოდა პროვოკაციული მიზნით თავდასხმა უკრაინა და პოლონეთზე.

იაპონიაში პოლიტიკურ ნიადაგზე მოკლეს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, რის გამო გადადგა მთავრობის მთელი შემადგენლობა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ყველა პარტიულ ორგანიზაციებს და წევრებს

საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველი ყრილობა მოწვეული იქნება 1921 წლის პირველ დეკემბრისათვის.

ყრილობის დღის წესრიგი:

1) მოხსენება საბჭოთა რესპუბლიკების საერთაშორისო და შინაურ მდგომარეობის შესახებ—მომხს. ამხ. მამია ორახელაშვილი.
2) პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური და საორგანიზაციო ანგარიში—მომხ. ამხ. მიხეილ ოკუჯავა.
3) პარტიის ურთიერთობა პროფკავშირებთან, მათი მონაწილეობა წარმოებაში, ს. ს. ს. რ. პროფკავშირების ურთიერთობა რ. კ. პ. საბჭოსა და წითელ პროფინტერნთან—მომხ. ამხ. ნაზარეტიანი.
4) ახალი ეკონომიური პოლიტიკა და მისი გატარების პირობები საბჭოთა საქართველოში—მომხ. ამხ. ტოროშელიძე.
5) სადგილ-მამულო პოლიტიკა საბჭოთა საქართველოში—მომხსენებელი ფილიპე მახარაძე.
6) კოოპერაცია—მომხ. ამხ. მიხეილ ოკუჯავა.
7) სასურსათო პოლიტიკა—მომხ. ამხ. ერქომაიშვილი.
8) საბჭოთა აღმშენებლობის მორიგი ამოცანები საქართველოში—მომხსენებელი ამხ. მდივანი.
9) ეროვნული საკითხი საქართველოში— მომხ. ამხ. ორჯონიკიძე.
10) პარტიულ-ორგანიზაციულ აღმშენებლობის მორიგი ამოცანები და პარტიის წესდება—მომხ. ამხ. დინენკო.
11) პარტია და ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი—მომხსენებელი ამხ. ქვეთაძე.
12) პარტიის ც. კომიტეტის არჩევნები.
13) ცენტრალური საკონტროლო კომისიის არჩევნები.
14) პარტიულ სარევიზიო კომისიის არჩევნები.
15) მიმდინარე საქმეები.

არჩევნების წესი:

1) პარტიის ყრილობისათვის არჩევნები ხდება სამაზრო კონფერენციებზე, პარტიის 100 წევრისა და კანდიდატისაგან ირჩევა ერთი დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით.

შენიშვნა: 1) პარტიის წევრთა და კანდიდატების თითოეულ არა სრულ ასეულზე, თუ მათი რიცხვი 50 კაცზე ნაკლები არ არის,—აგრეთვე იგზავნება ერთი დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით.

შენიშვნა: 2) ორგანიზაციები, რომლებსაც ჰყავთ პარტიის ას წევრსა და კანდიდატზე ნაკლები, პარტიის ყრილობაზე გზავნიან თითო წარმომადგენელს გადამწყვეტი ხმის უფლებით.

2) საქართველოს წითელ ლაშქარს პარტიის ყრილობაზე ეთმობა ხუთი ადგილი გადამწყვეტი ხმის უფლებით.

3) კომუნისტური ახალგაზრდობის სამაზრო ორგანიზაციები და ქალთა სამაზრო განყოფილებები, სადაც უკანასკნელნი არსებობენ, გზავნიან ყოველი მათგანი თითო წარმომადგენელს სათათბირო ხმის უფლებით.

4) კავკასიის განსაკუთრებულ წითელ ლაშქარს ეთმობა 10 ადგილი გადამწყვეტი ხმის უფლებით, 10 ადგილი სათათბირო ხმის უფლებით.

5) კომ. ახალგაზრდობის კავშირის ცეკას ეძლევა 3 ადგილი გადამწყვეტი ხმის უფლებით.

6) პარტიის ყრილობისათვის დელეგატების არჩევნებში მონაწილეობენ პარტიის მხოლოდ ნამდვილი წევრები. პარტიის ყრილობისათვის შეიძლება არჩეულ იქნენ მხოლოდ პარტიის წევრები, რომელთაც აქვთ პარტიის ნამდვილი წევრის არა ნაკლებ ერთი წლის სტაჟი.

ც. კ. მდივანი **ორახელაშვილი.**

საორგანიზაციო განყოფილების გამგე **დინენკო.**

საბჭოთა საქართველოს გამოფენა

7 ნოემბრის დღესასწაულმა ყველასათვის აშკარა გახადა ის გარდატეხა, რომელიც დაეტყო მშრომელთა მასების სულისკვეთებას ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე. მენშევიზმის და ნაციონალიზმის შხამი, რომლითაც მოწამლული იყო ხალხის ფართო მასსა, საკმაოთ დაუძლურებულია და ადგილს უთმობს ჭეშმარიტ მუშურ მსოფლმხედველობას.

მუშა და გლეხი უახლოვდებიან თავის მუშურ მთავრობას, მასთან ერთად სჭედენ თავის ბედს, თანამშრომლობენ სამეურნეო ფრონტზე.

არის უკვე რაიმე შედეგი ასეთი თანამშრომლობის? ამის პასუხს იძლევა ის გამოფენა, რომელიც ნაჩქარევად სულ ათიოდე დღის განმავლობაში მოაწყო ოქტომბრის რევოლიუციის სადღესასწაულო კომისიამ სახელმწიფო დრამის თეატრის დარბაზში.

სამი წელიწადი იბატონეს აქ მენშევიკებმა. მენშევიკური მთავრობა შეუდარებლად მდიდარი იყო, მან ჩაიბარა საქართველო დაუზიანებელი, სავსე საწყობებით, წესიერათ აწყობილი მრეწველობით, რკინისგზებით, მაღაროებით და სხვ. საბჭოთა მთავრობას მენშევიკებმა დაუტოვეს საქართველო დაღარიბებული, გაძარცული, [illegible] ფრონტებით დასერილი, ძალმილეული;

მხოლოდ 8 თვე არსებობს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება. მხოლოდ აპრილ-მაისიდან მიეცა მას საშვალება მეურნეობისათვის მიეხედა და მის გამოცოცხლებაზე ეზრუნა. ექვსი თვე დიდი დროა რევოლიუციურ ხანაში, ცხოვრების პოლიტიკური ზედნაშენის ნგრევა-შენებისათვის, მაგრამ ეკონომიურ აღმშენებლობისათვის, მეურნეობის აღორძინება-აყვავებისათვის—ეს რამდენიმე წუთს თუ უდრის.

მაგრამ ეს წუთები არ დაუკარგავს საბჭოთა ხელისუფლებას. საბჭოთა სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელობით საქართველოს მუშას ბევრი რამ გაუკეთებია, ბევრი რამ ახალი შეუმატნია ქვეყნის ეკონომიური ძალღონის სალაროში.

სამი წლის განმავლობაში მენშევიკებს არ მოუწყვიათ არც ერთხელ გამოფენა თავისი ნამოქმედარის, თავისი ნაშრომის. თავის არსებობის და მუშაობის ექვსი თვის შემდეგ საბჭოთა მთავრობა აწყობს გამოფენას. თავის თავადაც ეს გარემოება დიდმნიშვნელოვანია, მაგრამ სახელდახელო გამოფენამ ისეთი სურათი გადაგვიშალა თვალწინ, რომ საჭირო დარჩა მისი გაგრძელება ერთი კვირით მაინც, რათა ყველა დაინტერესებულს საშუალება მიეცეს მუშის კურთხეული მარჯვენის ნამოქმედარის საბჭოთა ხელისუფლების დროს. გამოფენას მრავალი ხალხი აწყდება. გამოფენა მაჩვენებელია იმის, თუ როგორ „დააქციეს" საქართველო კომუნისტებმა. უეჭველია, არც ერთი მუშა, არც ერთი მშრომელი არ დარჩება გამოფენის უნახველი. შეერთებული შრომის ნაყოფის მნახველი მუშა დარწმუნდება საბჭოთა ხელისუფლების უპირატესობაში და გაორკეცებული ენერგიით განაგრძობს მასთან ერთად მუშაობას და ბრძოლას სოციალისტურ სამშობლოს საბოლოოდ გამაგრებას, წინსვლას და აყვავებას.

საბჭოთა ფედერაცია და აღმოსავლეთის ქვეყნები

ერთი დამახასიათებელ მომენტთაგანი საბჭოთა ფედერაციის საერთაშორისო მდგომარეობის, მისი არსებობის ოთხი წლის თავზე, არის ის გარემოება, რომ მთელი რიგი აღმოსავლეთის ქვეყნებისა, რომელთაც კიდევ შერჩეიათ ხელში „თავის საკუთარი ბედ-იღბლის გადაწყვეტის „თვითგამორკვევის" სუსტი საშუალება, გასცილდნენ რუსეთის რევოლიუციისა და საბჭოთა მთავრობისადმი პლატონიური თანაგრძნობის სფეროს და გარკვეულ საქმიან დამოკიდებულებაში დგანან მასთან, შეეკვრიან ამ მთავრობას ხელშეკრულებებით ან დროებითი შეთანხმებებით და ამნაირათ ურთიერთობა ამ ორ მხარეთა შორის თანდათან ყალიბდება გარკვეულ ფორმებში. ასე მოხდა ოსმალეთთან, სპარსეთთან, ავღანისტანთან, ბუხარასთან, მონგოლიასთან, რუსეთის მთავრობა სდგას დიპლომატიურ დამოკიდებულებაში ჩინეთის რესპუბლიკასთან. და იმისდა მიხედვით, თუ რამდენათ მტკიცდება კეთილ მეზობლური, და ხშირათ ძმობრული, დამოკიდებულება ამ ქვეყნებსა და რუსეთს შორის, იმდენათ უფრო ფართოვდება ამ ქვეყნებსა და დასავლეთ იმპერიალისტებს შორის უფსკრული, მით უფრო შეუჯავებელი ხდება დიდი ხნობით მათ შორის დაგროვებული შური და მტრობა, რომელიც თუ როდესმე ღებულობდა აშკარა სახეს, ადგილობრივი ბატონ-პატრონების და უცხოელების ვასალების ნების წინააღმდეგ. ეს მხოლოთ საბაბათ ხდებოდა ნახევრათ ახალშენების მფლობელ თეთრებისათვის სისხლში ჩაეხრჩოთ ყოველგვარი წინააღმდეგობა მასის, მაგარი ლაგამი ამოედოთ თვით უმცირეს ოპოზიციისთვისაც კი. ეს ის დრო იყო, როდესაც უზარმაზარი აღმოსავლეთის ქვეყნები ერთ პოლიტიკურ უდაბნოს წარმოადგენდნენ და არსაით რევოლიუციონური „ხმა არსით ძახილი" არ ისმოდა, არ ისმოდა ყოველ შემთხვევაში ისეთი მისწრაფებებით და ისე მკვეთრე, როგორც არის ეს იქ დღეს რევოლიუციონური რუსეთის გავლენით. მას შემდეგ უდიდესი, მსოფლიო ისტორიული მასშტაბით უდიდესი ამბები დატრიალდა: აღმოსავლეთ ევროპის რევოლიუცია და უზარმაზარ სახელმწიფოს რევოლიუციონური კლასების ხელში გადასვლამ შეაქანა „უძლურების წინ დაძინებული აღმოსავლეთი" და შეარყია ძირიან ბუდიანათ კოლონიალური ბატონობა ევროპის იმპერიალიზმის ამ ქვეყნებში. ყველაზე უფრო საგრძნობი შეიქნა ეს დიდი ბრიტანეთისათვის, რომელსაც რიგ-რიგათ უსხლტება თავის გავლენიდან მთელი წყება ქვეყნების, რომლებიც ამდენ ხანს მისი მსუნაგი კაპიტალის სათარეშო ასპარეზს წარმოადგენდა. სულ რომ არაფერი ვთქვათ ოსმალეთზე, რომელთანაც ის ჩართულია დღეს ფაქტიურათ ომში საბერძნეთის დახმარებით და ამ ნაირათ აშკარა მტრულ განწყობილებაში იმყოფება მასთან, რაც ამაგრებს კიდევ უფრო კავშირს ამ ქვეყანასა და რუსეთს შორის, საკმაო იქნება მოვიხსენიოთ ის საერთაშორისო სკანდალი, რომელიც დაემართა გამარჯვებულ ინგლისის დიპლომატიას სპარსეთში, როდესაც ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ იძულებული შეიქნა სამარცხვინოთ უკან დაეხია საბჭოთა რუსეთის გავლენის წინაშე და გასცლოდა ამ ქვეყანას. ინგლისის „[illegible] საზოგადოება" და საგარეო საქმეთა „ოფისი" დღესაც ვერ შერიგებია იმ აზრს, რომელიც თავს დაატყდა მათ რუსეთ-სპარსეთის ხელშეკრულებით თეირანში. იგივე „სეჯაყი" საქმე დაემართა ინგლისს ავღანისტანში, სადაც ადგილობრივი „ვასალების" მეოხებით ის შეეცადა თავზე მოეხვია ამ ქვეყნისათვის მტაცებლური ხელშეკრულება, რათა საბოლოოთ ჩაეყლაპა იქაური ხალხის ერთსულოვანებით და რუსეთის გავლენით, რომლისაც იძულებული შეიქნა ფირთხებით უკან დახეულიყო „ოლდ ინგლანდ"-ის ლომი და გზა დაეცალა რევოლიუციონური რუსეთისათვის. ამ სამი თვის წინათ ამ ქვეყანამ მიიღო უკვე ოფიციალური წარმომადგენელი საბჭოთა რუსეთის და ის აღფრთოვანება, რომელიც მან გამოაშკარავა რევოლიუციონური მთავრობის მიმართ აშკარა მაჩვენებელი შეიქნა იმ მეგობრული განწყობილების, რომელიც დამყარდა ორი ქვეყნის შორის. იგივე დამოკიდებულება ბუხარასთან, იგივე დამარცხება იმ იმპერიალისტური დიპლომატიის და სულ უკანასკნელად ურთიერთობა ჩინეთთან. ეკონომიური და პოლიტიკური იზოლაცია, რომელიც თავს მოახვიეს საბჭოთა ფედერაციას, თანდათან სუსტდება, მისდასთან სწორდება და აღმოსავლეთში ადგილს იჭერს გავლენა წითელი სახელმწიფოსი, რომელიც მასზე დაყრდნობილი, მით ზურგ-გამაგრებული გამარჯვებებს მოიპოვებს დასავლეთშიაც, იმპერიალიზმის დედა-ქვეყნებში ამის თავდებია საერთო კრიზისით გამწვავებული სოციალური წინააღმდეგობა და მით გამოწვეული მუშათა რევოლიუციონური მოძრაობა, რომელიც თანდათან ფართოვდება. საბჭოთა ფედერაცია და აღმოსავლეთის ქვეყნები მტკიცე კავშირით ერთმანეთს ეკვრიან და ამნაირად დგება ერთი ანტი-მილიტარისტული კედელი, რომელიც წინ წასწევს მსოფლიო რევოლიუციის გამარჯვებისა და რეაქციის დამარცხების საქმეს.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

ამნისტია.

მოსკოვი. 7 ნოემბერი (რადიო). ოქტომბრის რევოლიუციის 4 წლის თავის აღსანიშნავად და სამოქალაქო ომის გათავებისა და მშვიდობიან აღმშენებლობის ნიადაგზე გადასვლის გამო სრულიად რუსეთის აღმასკომი ადგენს: იმ პირთა მიმართ, რომლებიც გასამართლებული არიან სახალხო სასამართლოების, რევტრიბუნალების, განსაკუთრებულ კომისიის და მათი ორგანოების, საგუბერნიო განსაკუთრებულ კომისიების, სამმართველოების ადმინისტრატიულ განყოფილებების და სხვა ორგანოების მიერ რომლებსაც აქვთ უფლება დასჯის და სამართალში მიცემის:

1) განთავისუფლდეს სრულიად სასჯელის მოხდისაგან ის პირნი, რომლებსაც გადაწყვეტილი აქვთ უფლებების შეზღუდვით ან შეუზღუდველათ პირობითი დაპატიმრება.

2) იმ პირებს, რომლებსაც მისჯილი აქვთ დაპატიმრება თავისუფლების აღკვეცით ყარაულ ქვეშ სატუსაღოებში ან იძულებით სამუშაოების ბანაკებში. ან მისჯილი აქვთ ასეთები, მაგრამ შემდეგ გადაყვანილ იქნენ სამუშაოებზე ყარაულის მიუყენებლად, შრომის ასრულებელი განყოფილებებისა და გუბერნიის გამასწორებელ კომისიების დადგენილებით თანახმად—შეუმცირდეს სასჯელის ვადა შემდეგი წესით: ა) პირთ, რომლებსაც გადაწყვეტილი აქვთ 1 წლამდი, განთავისუფლდეს სრულიად, ბ) ისინი, რომლებსაც მისჯილი აქვთ 1 წლიდან 3 წლამდე შეუმცირდეს ნახევრად, გ) რომლებსაც გადაწყვეტილი აქვთ 3 წლიდან 5 წლამდი შეუმცირდეს ერთ მესამედით.

შენიშვნა: დროის ანგარიში იწყება წინანდელი ამნისტიის შემდეგ დარჩენილ დროისგან.

3) იმ პირთა შესახებ, რომლებსაც გადაწყვეტილი აქვთ უმაღლესი სასჯელი და მათი საქმეები ჯერ კიდევ კასაციის პროცესშია, დაევალოს საკასაციო ინსტანციას, იხელმძღვანელოს ამნისტიით და შეეცვალოს უმაღლესი სასჯელი 5 წლით თავისუფლების აღკვეცით და აგრეთვე თვითეულ შემთხვევაში მხედველობაში მიიღოს საქმის არსებითი მხარე.

4) ამნისტია ვრცელდება ყოველ შემთხვევაში დასჯილის გადაწყვეტილ დროის განუსაზღვრელად:

ა) სპეკულანტებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებული კონტრ-რევოლიუციონურ ორგანიზაციასთან, ბ) სასურსათო გაწერის შეუსრულებლობისათვის დასჯილები, რომლებზედაც არ გავრცელდა იუსტიციის კომისარიატის 29 აპრილის 1921 წ. დადგენილება ასეთ საქმეების მოსპობის შესახებ სასურსათო პოლიტიკის შეცვლის გამო, გ) კრონშტადტის აჯანყების მონაწილე მუშები და გლეხები, რომლებიც ჩათრეული იყვნენ მოძრაობაში შეუგნებლობით, დ) სამოქალაქო ომის დეზერტირები გამოუკლებლივ.

5. ამნისტია არ ვრცელდება: ა) იმ პირებზე, რომლებსაც გადაწყვეტილი ჰქონდათ უმაღლესი სასჯელი და რომლებსაც ეს უკანასკნელი შეუცვალეს სასამართლოს დადგენილებით ან წინანდელი ამნისტიებით, თავისუფლების აღკვეცით მიუხედავათ იმისა სასჯელის ვადა მოხდილია თუ უნდა მოიხადოს, ბ) ბანდიტიზმისათვის გასამართლებულებზე, გ) გასამართლებულებზე, რომლებიც მონაწილეობას იღებდენ თეთრ-გვარდიელთა შეთქმულებებში, შპიონაჟში, აშკარა შეიარაღებულ გამოსვლებში; არ ვრცელდება აგრეთვე საბჭოთა მოწინააღმდეგე პარტიების მოღვაწეებზე და დ) ქონების გარდახდევინებებზე, რომლებიც დადებულია როგორც სასჯელი.

6) გამოძიების ქვეშ მყოფ პირებზე, რომლების საქმეებიც არ შედის ამ ამნისტიის მე-4 მუხლში, ამნისტიის საკითხი წყდება სასამართლოს მიერ მათი საქმის მოსმენის დროს ამ წესების მიხედვით, რომლებიც აღნიშნულია ამ დადგენილების 1—5 სტატიებში.

7) გამოძიებას ქვეშ მყოფი პირები, რომლების საქმეებიც არ გადაეცემა სასამართლოს და განსაკუთრებულ კომისიის და მის ორგანოების განკარგულებაში ითვლება და თავის ხასიათით ამ დადგენილების მე 5 მუხლში შედის: ა) სრულიად უნდა შეწყდეს საქმეები იმ პირთა შესახებ, რომლების მიმართ განსაკუთრებული კომისიის სათანადო ორგანო შესაძლოდ დაინახავს ამ ამნისტიის გამოქვეყნებისათანავე მათ განთავისუფლებას ხელწერილის ან თავდებ ქვეშ. ბ) ის პირები, რომლების საქმეებიც გადაცემულია სასამართლოზე და ამ ამნისტიის გამოქვეყნების დროს არიან დატუსაღებული სასჯელის მაქსიმალური ვადა უნდა განისაზღვროს ერთ განსაკუთრებულ კომისიისაგან საქმის გარჩევის შემდეგ. გ) გამოძიების ქვეშ მყოფი პირები, რომლებმაც გაატარეს თავისუფლების აღკვეცის 6 თვე ამ ამნისტიის გამოქვეყნებამდი, სასჯელის მაქსიმალური ვადა უნდა განისაზღვროს ერთი წლით და ითვლებოდეს თავისუფლების აღკვეცის მომენტიდან.

შენიშვნა: იმ პირთა საქმეები, რომლებიც ამ სტატიის მოქმედებას ექვემდებარება, უნდა გაირჩეს ერთი თვის განმავლობაში.

8) წინადადება მიეცეს განსაკუთრებულ კომისიას ერთი თვის ვადაში გადაათვალიეროს ადმინისტრატიული წესით გადასახლებულების სია, რომ განთავისუფლდეს სასჯელისაგან ყველა მათგანი, რომლების დაბრუნებაც საბჭოთა რუსეთისათვის არ წარმოადგენს საშიშროებას.

9) იმ პირთა მიმართ, რომლებიც გასამართლებული არიან სახალხო სასამართლოს და რევტრიბუნალების მიერ, ამნისტია უნდა გატარდეს ცხოვრებაში საგუბერნიო გამანაწილებელი კომისიებისაგან ერთი თვის განმავლობაში დღიდან ამნისტიის აქტის გამოქვეყნებისა და ეცნობოს ადგილებზე სათანადო სასამართლოს ორგანოებს.

საჩივრები ამნისტიის არ გატარებისა ან უკანონოდ გატარების შესახებ უნდა აღძრულ იქნას ერთი კვირის განმავლობაში დღიდან მონაჩივრისათვის ამნისტიის გამოცხადებისა და ერთი თვის განმავლობაში ამნისტიის გამოქვეყნებისა თუ ის სრულიად არ იქნა გამოცხადებული რომელიმე პირის მიმართ. ყველა ასეთი საჩივრები წყდება საბოლოოდ იუსტიციის საგუბერნიო განყოფილებისაგან, დადგენილების მე-8 სტატიის მიერ გათვალისწინებულ შემთხვევებისა და ან ანალოგიურ შემთხვევებისა, რომლებსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს მე-6 სტატიის სასამართლოსაგან ცხოვრებაში გატარების დროს. ასეთ შემთხვევებში არავითარი გასაჩივრება არ შეიძლება.

10) ორგანოები, რომლებიც ატარებს ცხოვრებაში ამნისტიის უფლება აქვთ ცალკე შემთხვევებში შუამდგომლობა აღძრან სრულიად რუსეთის აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმის წინაშე ცალკე პირების მიმართ ამნისტიის არ გატარების შესახებ მისი საშიშროების გამო.

11) ამ დადგენილების ცხოვრებაში სწორად გატარების თვალყურის დევნება და ყველა სადაო საკითხების გადაჭრა, რომლებიც შეიძლება ადგილი ჰქონდეს მისი გატარების დროს, ეკისრება იუსტიციის სახალხო კომისარიატს.

12) ეს დადგენილება მოქმედებაში შედის ტელეგრაფით.

სრულ. რუსეთ. აღმასკომის თავმჯ. **მ. კალინინი.**

მდივანი: **ა. ენუქიძე.**

მოსკოვი კრემლი, 4 ნოემბერი 1921 წ.

საბჭოთა მე-9 ყრილობა.

მუშათა, გლეხთა, წითელ არმიელთა და კაზაკთა დეპუტატების საბჭოთა სრულიად რუსეთის მე-9 ყრილობა მოწვეულია 1921 წ. 20 დეკემბრისათვის. დღის წესრიგი: 1) ც. ა. კ. და ს. კ. საბჭოს ანგარიში რესპუბლიკის საგარეო და შინაურ მდგომარეობის შესახებ, 2) ახალი ეკონომიური პოლიტიკის წინასწარი შედეგები, 3) არმიის მდგომარეობა რესპუბლიკის მიმდინარე ცხოვრების ამოცანებთან დაკავშირებით, 4) დამშეულთა დახმარების შესახებ, 5) სასოფლო მეურნეობის აღდგენაზე, განსაკუთრებით სიმშილისაგან დაზარალებულ ადგილებში, 6) ფინანსები და ბიუჯეტი, 7) კოოპერაცია და კოოპერატიული კანონმდებლობა, 8) ც. ა. კ. არჩევნები.

ც. ა. კ. თავმჯდომარე **მ. კალინინი.**

მდივანი **ა. ენუქიძე.**

მოსკოვი—კრემლი. 3 ნოემბერი 1921 წ.

მოსკოვი, 6 ნოემბერი (რადიო), ც. აღ. კ. პრეზიდიუმი ადგენს:

1) გატარდეს საბჭოთა მე-9 ყრილობის არჩევნები ქალაქის და სოფლის მოსახლეობისა კონსტიტუციაში ნაჩვენები ნორმით.

2) მოხდეს საბჭოთა საგუბერნიო ყრილობები დელეგატების ასარჩევად, მაგრამ მთელს რუსეთში საბჭოების სამაზრო ყრილობების მოწვევის შეუძლებლობის შემთხვევაში, უნდა მიიღოთ, როგორც საერთო წესი, რომ იქ, სადაც შეუძლებელი იქნება საბჭოთა სამაზრო ყრილობის მოწვევა, დელეგატების არჩევნები ეკისრება სამაზრო-აღმასრულებელი კომიტეტებს. 3) პრეზიდიუმი განმარტავს, რომ ყველა ზემოდ ნათქვამი ეხება აგრეთვე იმ ადგილებსაც, სადაც აღმასკომების ნაცვლად რევკომები მოქმედებენ, 4) ავტონომიურ საბჭოთა რესპუბლიკებს და ოლქებს, რომლებიც შედიან რ. ს. ფ. ს. რ. შემადგენლობაში, ყავთ წარმომადგენლობა სრულიად რუსეთის საბჭოთა ყრილობაზე საერთო საფუძვლების მიხედვით, თანახმად კონსტიტუციის 53 მუხლისა. 5) წითელ არმიელთა ყველა ნაწილებს, რომელთაც თავისი ადგილმყოფობის გამო არა აქვთ საშუალება მიიღონ მონაწილეობა საგუბერნიო, საქალაქო და სამაზრო ყრილობებში, აქვთ უფლება საბჭოთა ყრილობაზე გამოგზავნონ თავისი დელეგატი—თითო წარმომადგენელი ყოველი დივიზიიდან. 6) ნაწილებს, რომლებიც დაქვემდებარებულნი არიან არმიის და ოლქების შტაბებისადმი, რომლებიც არ შედიან დივიზიებში, ან იმყოფებიან მოგზაურობაში ახალი საცხოვრებელ ადგილისაკენ და თავის შემადგენლობაში ჰყავთ არა ნაკლებ 25.000 კაცისა, აქვთ უფლება თავის დელეგატის გაგზავნისა. 8) არჩევნების გატარება ცხოვრებაში წითელ არმიელთა ნაწილებიდან მთლად და საგანგებოთ დაეკისროს არმიის და ოლქების სამხედრო რევოლიუციონურ საბჭოებს. 8) რევ. სამხედრო საბჭოებმა არჩევნები მოახდინონ კონფერენციებიდან.

ც. ა. კ. თავმჯდომარე **მ. კალინინი,** მდივანი **ა. ენუქიძე.** მოსკოვი—კრემლი, 3 ნოემბერი 1921 წ.

ც. ა. კ. პრეზიდიუმის დადგენილება: დამტკიცებულ იქნას საორგანიზაციო კომისია საბჭოების მე-9 ყრილობის მოსაწვევად შემდეგი შემადგენლობით: ამხანაგები: ენუქიძე, ზალუცკი ბურკულოვი, სელტნევი, მეტელევი, ნიკიტინი, ბეტერსი და იაბლონსკი.

დამტკიცებულ იქნას საბჭოთა 9 ყრილობის სამანდატო კომისია: ამხ. მაქსიმოვსკი, სიროკვი, სადოვსკი, ოზოლი, ზარინი და ნიკიტინი.

ც. ა. კ. თავმჯდომარე **მ. კალინინი,** მდივანი **ა. ენუქიძე.** მოსკოვი—კრემლი, 8 ნოემბერი 1921 წ.

კაპიტალიზმის სამეფოში

იტალია.

სავაჭრო ხელშეკრულება იტალიასთან.

მოსკოვი. 8 ნოემბერი. (რადიო). რუსეთ-იტალიის შეთანხმება შედგენილია რუსეთ-ინგლისის ხელშეკრულების მსგავსად, ახალი ხელშეკრულება აახლოვებს რუსეთს ევროპასთან და კერძოთ იტალიასთან. იტალიის გაზეთები ამბობენ, რომ ერთად ერთი ძალა უფლება, რომელსაც შეუძლია რუსეთში იარსებოს არის საბჭოთა ხელის-უფლება.

ჩემი პროკლამაცია

(მოგონება)

1902 წელს ბათუმში ჩამოვიდა სოსო და გააჩაღა საიდუმლო მუშაობა. შედეგი იყო გრანდიოზული გაფიცვა ქარხნებში, დემონსტრაციის გამართვა, რის შემდეგაც სალდათებმა ოფიცერ ანთაძის ხელმძღვანელობით თოფები ესროლეს დემონსტრანტებს, რამდენიმე დახოცეს, დასჭრეს და დანარჩენი შერეკეს ყაზარმაში და დაატუსაღეს.

ამ შემთხვევის ცოტა ხნის შემდეგ თვითონ სოსოც დაიჭირეს.

საქმის მდგომარეობამ ცუდი ხასიათი მიიღო. ხელმძღვანელის ჩამოშორების შემდეგ მუშები წახდენ, გული გაუტყდათ, აღარ იცოდნენ, რა გზას დასდგომოდნენ. გაფიცვა იშლებოდა. დატუსაღებულთ შორის ყოყმანი შეიქნა. ზოგი ცდილობდა, მხოლოდ თავი გაენთავისუფლებინა როგორმე. არა ლეგალური სტამბა ჩემს ხელში იყო, მარა პროკლამაციის დამწერი აღარავინ იყო.

ბევრი ყოყმანის შემდეგ ჩაუჯექი თითონ წერას. ბევრი დაწერილის დახევისა და გადაწერ-გადაკეთების შემდეგ შევადგინე პროკლამაცია, ავაწყე, დავბეჭდე, გავაკარი და დავაბანიე ქალაქში.

პროკლამაციამ საოცარი გავლენა მოახდინა. მუშები გამოცოცხლდნენ, იმედი მიეცათ, დარწმუნდნენ, რომ ყველაფერი არ დაკარგულა, ვიღაცა არაკობს, პროკლამაციებს ბეჭდავს და ავრცელებს.

არა ნაკლებივ ფაცი ფუცი შეიქნა ადმინისტრაციის შორის. ჟანდარმები დატრიალდნენ. ბევრი ახლათ დაიჭირეს, მაგრამ ბევრი დაჭერილები გამოუშვეს. ახლათ დაჭერილები სულ მეორე ხარისხის ხალხი მოხვდათ ხელში, გამოუშვეს კი პირველი ხარისხის ბიჭები. ციხიდან გამოსულები დატრიალდნენ და შეუდგნენ საქმის გამოკეთებას.

მე სიხარულით ფეხზე აღარ ვიდექი, როცა ვხედავდი ჩემი პროკლამაციის ასეთ ნაყოფს.

ამ დროს მოვიდა ციხიდან პაპიროსის ქაღალდზე დაწერილი წერი

საბჭოთა აღმშენებლობა საქართველოში

განათლების სახალხო კომისარიატის მოქმედების მიმოხილვა

საბჭოთა რესპუბლიკის აღმშენებლობის ერთმა უმთავრესმა დარგმა, სახალხო განათლების საქმემ საქართველოში, გაიარა მრავალი გარდამავალი პერიოდი განათლების სახალხო კომისარიატის ორგანიზაციის დაწყებამდე იმ სახით, რა სახითაც იგი მოქმედობს ამ ჟამათ. პირველი ხანა, 25 თებერვლის შემდეგ ვიდრე ივნისამდე, შეიძლება დავახასიათოთ, როგორც პერიოდი მრავალ დაწესებულებათა საკმაოდ ქაოტიურ დაარსებისა რომლებიც ხშირად აკეთებდნენ პარალელურ საქმეს და მხოლოდ ბოლო დროს შეუერთდენ განათლების სახალხო კომისარიატს (მთავარ-პოლიტიკური განათლება, საქართველო—კავკასია,—რუსეთის სატელეგრაფო სააგენტო, სახელმწიფო გამომცემლობა). ამ ჟამად განათლების სახალხო კომისარიატის მოქმედებამ მიიღო შემდეგი სახე: საზოგადო იდეიური ხელმძღვანელობა საქმის პედაგოგიური მხარისა ეკუთვნის აკადემიურ ცენტრს, მთელი პოლიტიკური-განმანათლებელი საქმე—პოლიტიკურ განათლების მთავარ მმართველობას, განათლების პროფესიონალიზაცია და ხელმძღვანელობა ყველა პროფ.-ტეხნიკურ სასწავლებლებისა ჩაბარებული აქვს პროფესიონალურ განათლების მთავარ მმართველობას, მთელი საგამომცემლო საქმე მინდობილი აქვს სახელმწიფო გამომცემლობას (სახალხო განათლების ცალკე მთავარი მმართველობის უფლებებით). ორგანოს, რომელიც აერთიანებს განათლების სახალხო კომისარიატის ყველა მთავარ მმართველობას და ცენტრებს, თავს უყრის ერთად ყველა ცალკე დაწესებულებათა მომარაგებას და ფინანსებს და აარსებს განათლების ადგილობრივ აპარატებს, წარმოადგენს საორგანიზაციო ცენტრი.

საგაზეთო წერილში შეუძლებელია ყოველმხრივი განხილვა ცალკე დაწესებულებათა მოქმედებისა და განვლილ პერიოდის მოქმედების აღნუსხვის სურვილი გვაიძულებს მივაქციოთ უმთავრესი ყურადღება შესრულებულ მუშაობის ფაქტიურ მხარეს.

განათლების სახალხო კომისარიატის აკადემიური ცენტრი—იდეური და პროგრამული ხელმძღვანელია ყველა მთავარ მმართველობის მუშაობისა, შესდგება მთელი რიგი კომისიებისაგან, რომლებიც წარმოადგენენ სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს. პროგრამული ხელმძღვანელობა ხელოვან აღმზრდელობითი დარგისა თავმოყრილია მთავარ ხელოვნების კომიტეტში, რომელიც არის დაკავშირებული აკადემიურ ცენტრთან და მასთან ერთად წარმოადგენს მთელს ორგანიულს ერთეულს. არ გავჩერდებით კერძოთ აკადემიური ცენტრის მოქმედებაზე, აღვნიშნავთ მხოლოდ განათლების სახალხო კომისარიატის სხვა დაწესებულებათა მიღწევებს.

მთავარი პოლიტიკური განათლება, შედის რა განათლების სახალხო კომისარიატში მთავარ მმართველობის უფლებებით, ექვემდებარება პარტიის იდეიურ ხელმძღვანელობას.

მთავარ პოლიტიკურ განათლების მუშაობის შინაარსს, გარდა მუშა-გლეხთა პოლიტიკურ განვითარებისა ამ ჟამად შეადგენს რესპუბლიკის ეკონომიურ აღმშენებლობის საკითხების განხილვა. მთავარმა პოლიტიკურმა განათლებამ ამ ჟამათ სავსებით მოაწყო ცენტრალური აპარატი და დაარსა 14 ადგილობრივი პოლიტიკური განათლების განყოფ. აგიტაციის დარგში, ც. კ. სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებასთან ერთად, გატარებულია მთელი რიგი პოლიტიკურ კამპანიისა: შესახებ სასურსათო გარდასახადისა, მე-3-ე ინტერნაციონალისა, ცალკე კავკასიის არმიისა და სხვა. რესპუბლიკაში 25 სააგიტაციო-საპროპაგანდო პუნქტია, რომლებშიაც გაიარეს: წითელ ლაშქრელებმა 1.150.000, მუშებმა 225.000 და მცხოვრებლებმა 700.000 მდე. ამავე სააგიტაციო პუნქტების მიერ გავრცელებულ იქმნა გაზეთები და სხვადასხვა ლიტერატურა 8.000.000 ცალზე მეტი. მხატვრ.—აგიტის მიერ გაკეთებულია 34 ესკიზი და პლაკატები, გავრცელებულია რამდენიმე ათას ცალათ. მნათობი გაზეთი—9. გაკეთებულია მათთვის 12.600-მდე მინა 7 ნოემბრისთვის მხატვრული განყოფ. ხსნის სურათების გამოფენას. ლიტო [illegible] გაზეთს „წითელი მხედარი", გამოსცა 2 ნომერი სატირიული ჟურნალისა, 6 პიესა, სცემს მთელ რიგს სააგიტაციო ლიტერატურისას, გამოსცა „სკოლის გარეშე მუშაობა სოფელში". „არსენა" და სხვა. გამოდის სერია: „ვის უდგამს ძეგლებს პროლეტარიატი" და საყურადღებო წიგნი „რევოლიუციის მგოსნები". მთავარ პოლიტიკურ განათლების თეო და მუზო ხელმძღვანელობენ რესპუბლიკის მუსიკალურ და თეატრალურ საქმეს, მათ მიერ გახსნილია 33 თეატრი, იხსნება კურსები მუშა-გლეხთა თეატრის ინსტრუქტორებისათვის. სასკოლო-საკურსებო დარგში სასწრაფო დავალებათ ითვლება წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია და მიზიდვა მცხოვრებთა საბჭოთა აქტიურ აღმშენებლობაში, განზრახულია 1922 წლის თებერვლისათვის ლიკვიდაცია წერა კითხვის უცოდინარობის 50 პროცენტისა. ტფილისში სწარმოებს 8 ცენტრალური საზოგადო-განმანათლებელი კურსები, ამდენივე გახსნილია პროვინციაში. ბიბლიოთეკების დარგში მუშაობას მიზნათ აქვს შექმნას მთლიანი ქსელი ბიბლიოთეკებისა. უკვე გახსნილია 75-მდე სარაიონო მოძრავი ბიბლიოთეკა. მთელ რესპუბლიკაში იქსოვება მრავალი ქსელი სკოლის გარეშე დაწესებულებათა, ქოხი სამკითხველოებისა, კლუბებისა, სახალხო სახლებისა. დღევანდელ დღემდე გახსნილია: 71 ქოხი სამკითხველო, 33 მუშათა კლუბი და 6 სახალხო სახლი.

პროფესიონალურ განათლების მთავარ მმართველობის მოქმედება გამოიხატება შემდეგში: 1. რეფორმა უმაღლეს და საშუალო სკოლისა, 2. ნაციონალიზაცია კერძო სასწავლებლებისა, 3. ახალ სასწავლებლების გახსნა, 4. გახსნა პროფესიონალურ-სატეხნიკო კურსებისა და დაწესებულებათა მუშებისთვის.

სკოლის რეფორმას ახასიათებს მისი პროფესიონალიზაცია. უმაღლეს სასწავლებელში ყველა ფაკულტეტებზე, გარდა სამკურნალოსი, განზრახულია 3 წლის კურსი. გარდა ამისა არსდება მკვლევართა ინსტიტუტი იმ პირთათვის, ვინც ემზადება განსაკუთრებით სამეცნიერო მოღვაწეობისათვის, სწავლის ვადა აქ არ არის შეზღუდული, ყველა საშუალო სასწავლებლები გადაკეთებულია ტეხნიკუმებათ სხვა და სხვა მიმართულებით: ჰუმანიტარული, სასოფლო-სამეურნეო და ინდუსტრიალური. აქ მთელი კურსი სწავლისა 4 წლისაა, პირველ ორ წელიწადს ასწავლიან ერთ-და იმავე საზოგადო განათლების საგნებს ყველა ტეხნიკუმებისათვის ერთნაირი პროგრამით. სპეციალიზაცია კი იწყება მე-3-ე წლიდგან. რეფორმა საშუალო და უმაღლეს სკოლისა სწარმოებს თანდათანობით. დაწყებული დაბალ კლასებიდგან. რომელსამე ტეხნიკუმის ორი პირველი კლასის დამთავრებულთ უფლება აქვთ შევიდნენ იმ უმაღლეს სასწავლებელში, რომელშიაც მოისურვებენ; სამოსწავლო წლის დასაწყისს მთავარ პროფესიონალურ განათლების მმართველობის მიერ ჩამორთმეულია ნაციონალიზაციის წესით 23 კერძო სასწავლებელი. იმავე დროისთვის გახსნილია 20-მდე ახალი ტეხნიკუმი, იხსნება ჯერ-ჯერობით მხოლოდ პირველი კლასები. საზოგადოდ ამ ჟამად მოქმედობენ: ორი უმაღლესი სასწავლებელი და 100 მდე ტეხნიკუმი. სწავლება სწარმოებს: 75-ში ქართულად, 11 ში რუსულად, 11-ში სომხურად, 1-ში გერმანულად, 1-ში ფრანგულად და 1-ში ებრაულურად, ივნისიდან დაწყებული დღემდე მუშებისთვის გახსნილია 31 პროფესიონალურ-ტეხნიკური კურსები კვალიფიკაციურ მუშების მოსამზადებლად, 3-მი საღამოს ტეხნიკუმი და მუშათა ფაკულტეტი.

უმთავრეს თავის მიზნათ მთავარმა პროფესიონალურ განათლების მთავ. მმართველობამ დაისახა საქართველოში ფართე და სწორი დაყენება სასოფლო სამეურნეო განათლებისა. ჩვენი ქვეყნის წარმოებათა სხვადასხვაობის მიხედვით განზრახულია 7 სხვადა სხვა ტიპი სასოფლო სამეურნეო ტეხნიკუმებისა, რომელთათვის შემუშავებულია შესაფერი სამოსწავლო გეგმები. პროვინციალურ ტეხნიკუმის უმრავლესობას ეძლევა სასოფლო-სამეურნეო და ინდუსტრიალური მიმართულება.

სოციალურ აღზრდის მთავარი მმართველობა აწარმოებს მთელ მუშაობას მოზარდ თაობისთვის, 3 წლის ასაკიდან დაწყებული 15 წლამდე და ჰყოფს მას ორ მომენტათ: სკოლამდე და მთლიანი შრომის სკოლა,—სკოლამდე აღზრდის საქმე დიდათ შეფერხდა მომზადებულ ხელმძღვანელთა უქონლობის გამო. ზაფხულში გახსნილმა საინსტრუქტორო კურსებმა გამოუშვეს ასი კაცი, რომელთა შორის იყვნენ სკოლის ასაკამდე ბავშვთათვის მოღვაწენი, რომლებიც გაემგზავრნენ სამუშაოდ საქართველოს სხვა და სხვა ადგილებში. ამ ჟამათ მათ მიერ განზრახულია: 14 საბავშვო ბაღი, 4 საბავშვო სახლი, 1 საცდელი—საჩვენებელი სახლი და ზაფხულის განმავლობაში მოქმედებდა 15 საბავშვო მოედანი და 3 საბავშვო ახალშენი. შემუშავებულია ძირითადი დებულებანი და ინსტრუქციები სკოლის ასაკამდე ბავშვთათვის დაწესებულებებისთვის, შემუშავებულია მათი ქსელი რესპუბლიკაში. ორგანიზაცია მთლიან შრომის სკოლებისა უკვე თავდება, გახსნილ სკოლების რიცხვი თბილისში 112 (პროვინციაში ახლათ გახსნილ სკოლების შესახებ ცნობები ჯერ არ არის მიღებული). სკოლის ასაკის ბავშვთათვის გახსნილია 12 საბავშვო სახლი. 7 ნოემბერს იხსნება 2 სკოლა—კლუბი. ქარხნებში მომუშავე ბავშვებისთვის დაარსდა 2 საცდელი-მაჩვენებელი შრომის სკოლა.

სწარმოებს ბავშთა უფლებრივი დაცვის განყოფილება, ხოლო მისი მუშაობა ძლიერ შეფერხებულია მისი დაწესებულებათათვის საკმაო ბინების უქონლობის გამო.

ახალგაზრდობის მთელ ფიზიკურ აღზრდას აწარმოებს ყოფილი საზოგადოება „შევარდენი", რომელიც შესულია განათლების სახალხო კომისარიატის შემადგენლობაში.

მთავარ სოციალურ აღზრდის მიერ გამოცემულია მრავალი სამოსწავლო წიგნები სხვა და სხვა ენებზე, შედგენილი ბავშვებისათვის და აგრეთვე ორი კრებული ბავშვების თამაშობებისა. შემუშავდა და გამოიცა დებულებანი მთლიან შრომის სკოლის შესახებ და მოისპო განაწილება სასწავლებლებისა „დაბალ" სასწავლებლებზე და გიმნაზიებზე.

საორგანიზაციო ცენტრს წილად ხვდა ფრიად მძიმე საქმე განათლების სახალხო კომისარიატის სხვა და სხვა ორგანოების გაერთიანებისა და ადგილობრივ აპარატების ორგანიზაციისა. ამ ჟამათ ცენტრალიზაცია შეიძლება ჩაითვალოს დამთავრებულათ და დაარსებულია მთლიანი და მარტივი აპარატი.

მუშაობა პროვინციაში გატარებულ იქმნა საგანგებო ინსტრუქტორ-ორგანიზატორების შემწეობით, რომელთაც დაამთავრეს თბილისში ცენტრალური საინსტრუქციო კურსები. მოწვეულ იქმნენ ადგილობრივ სახალხო განათლების წარმომადგენელთა ყრილობები და ამ ჟამათ მჭიდროთ გამართულ კავშირის წყალობით, მთელი სურათი სახალხო განათლების საქმის მდგომარეობისა პროვინციებში სრულიად ნათელია ცენტრისთვის. განათლების სახალხო კომისარიატის ორგანიზაციების დახმარებისა და მომარაგების დარგში მიღწეულია შემდეგი: რადგანაც ორგანიზაციული ცენტრი ან სრულებით არ ღებულობდა შესაფერ ორგანოებისაგან, ან ღებულობდა იმდენად სამოსწავლო სახელმძღვანელოებს და მომარაგების ნივთებს, რომელიც სრულებით არ აკმაყოფილებდა მის მოთხოვნილებას, იგი იძულებული გახდა დახმარებოდა განათლების სახალხო კომისარიატს თავისი ძალებითა და საშუალებებით და ამისთვის შექმნა: 1. ინსტიტუტი დასანახავი სახელმძღვანელოებისა; 2. სახელოსნო რვეულებისა, რომელმაც გამოიყენა არქივების ქაღალდი და ქაღალდის ჩამონაჭრები და გამოსცა თავისი არსებობის სამნახევარ თვის განმავლობაში 392 430 რვეული, 3.775 ბლოკნოტი, 1762 კონტორის წიგნები, 1960 უბის წიგნი და 6.195 სხვადასხვა ბლანკები; 3. სახელოსნო კალმისტარებისა, რომელიც აზადებს დღეში 3.000-მდე კალმის ტარს მოწოდებისათვის და 200-ს საკანცელარიოს; 4. სახელოსნო სახაზავებისა, სამკუთხედებისა და საანგარიშოებისა; 5. სახელოსნო ძერწვისა, რომელიც აკეთებს ბიუსტებს, მონუმენტებს, ძეგლებს და რომელმაც გააკეთა თავისი მუშაობის დროს 5 ძეგლი და თითქმის 200 ბიუსტი; 6. სახელოსნომ გიფსის მომზადებისა, ერთის თვის არსებობის დროს მოამზადა 402 ფუთი გიფსი; 7. სატრაფარეტო სახელოსნო, რომელმაც გააკეთა 3.266 სხვადასხვა ტრაფარეტი. ორგანცენტრის ფოტო-კინოს სექცია, რომელმაც გადიღო 11 სურათი პოლიტიკურ, სამხედრო და აღმშენებლობითი ხასიათისა (საქმეს ძლიერ აფერხებს საკმაო ფულის უქონლობა). საორგანიზაციო ცენტრის საწყობებში ამ ჟამათ მოგროვილია 300 ათასამდე სამოსწავლო წიგნი, 400 ათასზე მეტი რვეული, 10 ათასზე მეტი ფლაკონი მელანი და სხვა საკანცელარიო ნივთები, რომელთა მომეტებული ნაწილი მიეცა ადგილობრივ სახალხო განათლებებს.

ამ ჟამათ საორგანიზაციო ცენტრის სასწრაფო მოვალეობას შეადგენს განათლების სახალხო კომისარიატის ქვემდებარე დაწესებულებათა მომარაგება შეშით.

უკვე დამზადებულია თბილისის დაწესებულებებისათვის 140 კუბიკური საჟენი, შეშა კიდევაც მზადდება. მაშტაბსა და სისწრაფეს მუშაობისას მომარაგების დარგში ძლიერ აფერხებს საკმაო ფულის ნიშნების უქონლობა.

მიუხედავათ იმისა, რომ სავარაუდო ხარჯთ აღრიცხვით გადადებულია წლის ბოლომდი 52 მილიარდი მანეთი, 1 ნოემბრამდე მიღებულია მხოლოდ 7 მილიარდი.

ათავებს რა ამით თავის მიმოხილვას და აღნიშნავს საორგანიზაციო პერიოდის გათავებას, განათლების სახალხო კომისარიატი გამოსთქვამს თავის მტკიცე რწმენას, რომ საბჭოთა საქართველოს წლის თავზე სახალხო განათლების საქმე უკვე იქნება მომაგრებული და მიღწეული იმ სიმაღლემდი, რომელიც შეეფერება საბჭოთა წესწყობილების მიზნებს.

დ. შ. კანდელაკი.

[illegible]ოქტომბრის რევოლიუციის მე-4 წლის თავი

მზისა და ელექტრონის დღესასწაული

[illegible] ოქტომბრის რევოლიუციის მეოთხე [illegible] ქალ. ტფილისმა იდღესასწაულა [illegible] ცხოველმყოფელ მზის სხი[illegible] ელექტრონის სინათლის [illegible] გაბრწყინებული.

[illegible] წლისთავი იმ რევოლიუციისა, [illegible]მელმაც თავის დროზე წამოაყენა [illegible] სიტყვები, როგორც [illegible] განთავისუფლება: პროლეტარიატის დიქტატურა. [illegible] ცხოვრების უკეთესი ფორმა [illegible] მშრომელისათვის, მონობისგან განთავისუფლებისა. [illegible]ისთან ერთად მთელი [illegible] იდღესასწაულებს [illegible] მოასწავებს ოთხი [illegible] ნგრევა [illegible] ახალი აღმშენებ[illegible] საქვეყ[illegible]

[illegible] ოქტომბრის დღეს, საერთო [illegible]ულში [illegible] ნაწილეობა მიიღეს და [illegible] ჩვენ [illegible] ერთად, [illegible] ფრონტზე [illegible] ელექტრონმა. 7 ნოემბრის იშვიათი დღე დადგა კავკასიის [illegible] წითელი, წყნარი და [illegible] მზიანი ქალაქი დილიდანვე გაიყო სადღესასწაულოთ [illegible] მოქალაქეებით.

[illegible] თანახმად მწყობრი [illegible] მიდიოდნენ დანიშნულ [illegible] ჯარის ნაწილები [illegible] და პარტიული ორგანიზაციები და საბჭოთა სკოლების მოწაფეები. დღის 12 საათისათვის [illegible] მოედანი წარმოადგენდა [illegible] სანახაობას. ამავე დროს ქალაქის ყველა მოედანზე [illegible] იყო მიტინგები, [illegible] რევოლიუციის [illegible] ათასობით ხალხი [illegible] ყველა [illegible] დღესასწაულ[illegible] მზეს [illegible] და მზის სხივები თბილად [illegible] ფრონტზე, ახლოა დღე [illegible] საომარი ფრონტის [illegible] ერთად, რომლის ლიკვიდაცია უკვე მოხდა, გაჩნდებიან შებრძოლნი და გამარჯვებულნი მეორე უფრო საჭირო ფრონტისა, სამეურნეოსი. გაჩნდებიან ჩვენი ცხოვრების დაშლით მეურნეობის მებრძოლნი და დამამარცხებელნი, მზის ცხოველი სხივები გვინერგავდნენ რწმენას მაში, რომ წითელ კომანდირებს ამოუდგებიან მხარში აგრეთვე ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკების სრულყოფილობის საქმის მცოდნე წითელი ხალხიც. საღამოს მზის მაგივრად გაჩნდა ელექტრონი და მოჰფინა მთელ ქალაქს სინათლე. ჩვენმა ელექტრო და პ[illegible]ტექნიკოსებმა გამოიჩინეს თავიანთი ხელოვნება. არასდროს რევოლიუციური სასახლის ხაზები ისე სწორად და ეფექტით არ ყოფილა განათებული, როგორც 7 ნოემბრის საღამოს. მოხდენილად განაწილებული ლამპები ძალიან ამშვენებდა სასახლის არქიტექტურის ხაზებს და სტილის უბადლობას.

ფერად ლამპებით და მწვანე ხვეულებით მორთული იყო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი რუსთაველის პროსპექტზე. მორთული იყო თავისუფლების მოედანი, განათებული იყო ქალაქის რევკომის შენობა სხვა და სხვა კომბინაციებით ოქროსფერ და ფეროვანი ელექტრონების შუქი ხდიდა ამ დღესასწაულს ისეთ სხივებად, როგორც მზის სხივები დღეს. მზე და ელექტრონი ძლიერი ფაქტებია ჩვენი გამარჯვებისა სამეურნეო ფრონტზე.

ოქტომბრის რევოლიუციის მეოთხე წლის თავი მშრომელთა მასებმა თბილისში ჩაატარეს დიდის სადღესასწაულო და იშვიათის აღფრთოვანებით. დილიდანვე არა თუ მარტო ქალაქის ცენტრალური ნაწილი, განაპირა უბნებიც წარმოადგენდნენ არაჩვეულებრივ გაცოცხლების სურათებს. მიტინგების ჩასატარებლად ქალაქი დაყოფილი იყო ხუთ რაიონათ.

(შემდეგი იქნება)

ლი სოსოსგან. წერილში სოსო გაჯავრებული იგინება—ვინ გაბედა, ვინ გამოუშვა ის პროკლამაციაო.

მე ციებამ ოფლმა დამასხა,—მიკვირს, ვერ მივხვედრივარ, რაშია საქმე. ვიცი, რომ პროკლამაციამ დიდებული შთაბეჭდილება მოახდინა. რადა [illegible] სოსოს, ნუ თუ ეს დახაზული, რომ წამხდარი საქმე გამომგონე პროკლამაციით.

მივდივარ ციხეში სოსოსთან მოსალაპარაკებლად [illegible]. ვეკითხები, რაშია საქმე, რით არის ცუდი პროკლამაცია. მე [illegible] ამბობს, რომ პროკლამაცია თავისთავად კარგია, მაგრამ ვინ გამოუშვა, ვინ იწერს ხელს, ვინ ასვამს სათაურს, სად არიან აქ სოციალისტ-რევოლიუციონერები, რომლის გაჩნდნენ. მე მაინც არაფერი მესმის. სოსომ ამიხსნა, რომ სოციალისტ-რევოლიუციონერები—ეს ჩვენი მოწინააღმდეგენი და მტრები არიან და პროკლამაცია მათი გამოშვებულია, მათი სათაური და ბოლოში ხელმოწერილი აქვს. და თუ მე დაუბეჭდავ ეს პროკლამაცია მათ—დიდათ მიმიქარავ!

ეხლა კი მივხვდი, რაშიც იყო საქმე და რა შეცდომა დამიწვია.

მე, როგორც ახალგამოჩეკილმა სოციალისტმა, არც კი ვიცოდი, თუ არსებობდა სხვა და სხვა სოციალისტური პარტიები. როდესაც ჩემი პროკლამაცია ავიწყე, ხელში არ მქონდა წინანდელი ჩვენი გამოშვებული პროკლამაციების ნიმუში, სტამბაში ვიპოვე სოსოს მიერ მოტანილი პროკლამაცია და იმის მიხედვით გავიკეთე სათაური და მოვაწერე ბოლოში. ეს პროკლამაცია კი თურმე სოციალისტ-რევოლიუციონერების ყოფილიყო. იმის მაგიერ რომ დამეწერა სათაური: „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია", „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!"—ამიდია და დავიწერე: „რუსეთის სოციალ-რევოლიუციონერთა პარტია" „ბრძოლაში ჰპოვებ შენ უფლებას!" ამის შესაფერი მიმიწერია ქვეშ: „ბათუმის კომიტეტი ს.-რ. პ." შეცდომა, მაგრამ თავს იმით ვინუგეშებდი, რომ მიუხედავად ასეთ შეცდომისა, პროკლამაციამ მაინც კარგი შთაბეჭდილება მოახდინა მუშებზე, რომლებსაც ჩემზე მეტათ არც კი ესმოდათ ეს განსხვავება პარტიათა შორის.

რამდენიმე ხნის შემდეგ სოსოც გამოუშვეს და ბევრი ვიცინეთ ამ შემთხვევაზე გამო.

ს. თ—ია.

ქრონიკა

— **ახალი სახაზო სასადილო და კლუბი.** ცენტრალურ მუშათა კლუბთან ამ დღეებში გაიხსნება ახალი ამერიკული სახაზო სასადილო 200 კაცისთვის. ამ სასადილოსთან მოწყობილ იქნება საბავშვო კლუბი ბავშვებთ 6 სა[illegible]ცენტით, სადილს უკან 3 საათიდან საღამოს 6 სათ. სათამაშო [illegible] კლუბზე მიწერილ ბავშვებისათვის სავალდებულო იქნება.

— **ტეხნიკუმის ორგანიზაცია.** სახალხო განათლების კომისარიატის თავიანთ პროფტექნიკურის მიერ სრულდება [illegible] მუშაობა, რომელიც იყო [illegible] ტეხნიკუმების გეგმის საორგანიზაციო. დასახულია და დამუშავებული 6 ტეხნიკუმის ტიპი: 1) მევენახეობის და მებაღეობის, 2) [illegible], 3) მეაბრეშუმეობის, 4) [illegible], 5) [illegible], და 6) სამიწმოქმედო. 1 ტიპის ტეხნიკუმი ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით იყოფა რამდენიმეთ, რომელშიც უმთავრესი ყურადღება მიქცეული აქვს მევენახეობას და მებაღეობას. ამ ტიპად უკვე მოქმედობს რესპუბლიკაში შემდეგი ტეხნიკუმები: აგრონომიული, ჰიდროტეხნიკური და სამიწმოქმედო. ახლო მომავალში განზრახულია გახსნან მევენახეობის და მებაღეობის ტეხნიკუმი, მათ რიცხვში სუბტროპიკულ კულტურული ზონების ტეხნიკუმი ბათუმის ოლქში.

პროვინციებში გახსნილ ტეხნიკუმებს ეძლევათ სოფლის მეურნეობის ხასიათი, რადგანაც შემდეგში ისინი შეიძლება გარდაიქმნენ ნამდვილ სახელმწიფო [illegible] ტეხნიკუმებათ. ტეხნიკუმების [illegible] ნაწილი, რომელიც უკვე [illegible] პროვინციებში, იქნებიან აგრეთვე [illegible] სასოფლო-სამეურნეო, [illegible] შეფარდებით. დასახულია [illegible] ინსტრუქტორ მასწავლებლების კურსების ორგანიზაცია, რომელიც გამოიყვანს [illegible] მეურნეობის ტეხნიკუმებს. [illegible] სკოლების შემოღება ყველა ტეხნიკუმისათვის საერთო—რესპუბლიკური მასშტაბით.

ტონით დაბლა, ამხანაგო!

გაზეთ „კომუნისტი"-ს მე-200 ნომერში მოთავსებულ წერილმა—„კიდევ სურსათო გადასახადის შესახებ" ჩვენ [illegible] გაგვაკვირვა. მით უმეტეს, რომ ამ წერილს ხელს აწერს ამხ. ერქომაიშვილი, ამხანაგი, რომელიც საქმიდ იცნობს ქუთაისის სამაზრო რევკომის მოქმედებას; ისეც საქმით იცნობს მას ეს უკანასკნელი, რომლისაც წინააღმდეგ არის მიმართული ამხ. ერქომაიშვილის აღნიშნული წერილი. ჩვენ სრულიადაც არა [illegible] წინააღმდეგნი, რომ გაზეთის ფურცლებზე, შეცდომები—თუ ბოროტმოქმედნი, ცენტრის იქნება ეს თუ პერიფერიების, საქმიდ, [illegible] და ფართოდ იქნეს გაშუქებული. ასეთი კრიტიკიდან ჩვენ კარგ ნაყოფს მივიღებთ: შეცდომები გამოსწორებული იქნება და ბოროტ-მოქმედნი კი [illegible] დასჯილნი. მაგრამ [illegible] ეს იქნება მაშინ თუ კი კრიტიკა იქნება [illegible] და არა გაზეთის ფურცლებზე თამაში.

რაში გვდებს ჩვენ ბრალს წერილის ავტორი, ან რით ვერ მოახერხა ჩვენ ისეთი საქციელი, რომ ამხ. ერქომაიშვილი „სასურსათო გადასახადის ცხოვრებაში გატარების ჩაშლის სურვილსაც" გვწამებს?!

ქუთაისის საჯრევკომმა დაადგინა: ამხანაგი კ. ქარცივაძე დაინიშნოს სასურსათო განყოფილების გამგეთ, ყოფილი გამგე კი მის მოადგილეთ. [illegible] წევრათ ამხ. კალანდაძე მიზეზი: სასურსათო გადასახადის 100 პრ. ე. ი. სრულიად შესრულების შეუძლებლობა კოლეგიის ძველი შემადგენლობით. ჯერ პროცენტების შესახებ ამხ. ერქომაიშვილის მიერ რევკომის დადგენილებიდან მოყვანილ ხაზში წერია არა 100, არამედ 10 პროცენტი, რის გამო ამხ. ერქომაიშვილი [illegible] ხასიათზე კი დამდგარა...

რევკომის დადგენილებაში ლაპარაკია სასურსათო გადასახადის 100 პროცენტით, ე. ი. სრულიად შესრულებაზე თუ კი... და სხვა. შესაძლოა ვინმეს დაუდევრობით იქმის იმ ასლში, რომელიც ამხ. ერქომაიშვილს ჰქონდა 100 პროცენტის მაგიერად 10 პროცენტი იყოს, მაგრამ მას ეს კი მოეთხოვებოდა სცოდნოდა, რომ ასეთ აბსურდს ქუთაისის რევოლიუციონური კომიტეტი ვერ გამოიგონებდა...

რაც შეეხება პიროვნებებს, ე. ი. დანიშვნა, ეს საკითხი იდგა ქუთაისის სამაზრო პარტიულ კომიტეტში, სადაც [illegible] როგორც სასურსათო გადასახადის კომპანიის ჩატარების შესახებ და სამაზრო პარტკომმა საჭიროდ დაინახა, რათა კოლეგია შემდგარიყო იმ პირებისაგან რომლებიც ზევით არიან მოხსენებული. ამისთვის მოხსნილ იქნა სპეციალურად პარტიულ მუშაობიდან პარტკომის პასუხისმგებელი მდივანი ამხ. კ. ქარცივაძე, ყველაზედ უფრო შესაფერი ამ საქმისთვის და დანიშნულიყო განყოფილების გამგედ. ეს მსხვერპლი წინდა პარტიული მუშაობის, პარტკომმა იმიტომ გაიღო, რომ მას ესმოდა საკმაოდ მნიშვნელობა სასურსათო გადასახადისა და მისი 100 პროც. აკრების აუცილებლობისა.

რევკომი დაეთანხმა პარტკომს და ამხ. ქარცივაძე, რომელიც ფაქტიურად თავიდანვე ხელმძღვანელობდა სასურსათო გადასახადის ჩატარებას ქუთაისის მაზრაში, დაინიშნა განყოფილების გამგეთ, ყოფილი გამგე ამხ. ჩაჩიძე მის მოადგილეთ.

ეს გადაწყვეტილება ეცნობა, როგორც ცე-კას, ისე სასურსათო სახალხო კომისარიატს, შემდეგ საქრევკომს. საკითხია, რა უნდა ჰქონდეს ამის საწინააღმდეგო ამხ. ერქომაიშვილს? ფორმალურად საჭრევკომს ამის უფლება ქონდა, თუ კი ამხ. ერქომაიშვილს ჯერ კიდევ არ გაუუქმებია საქართველოს რევკომი დეკრეტი № 23 განყოფილება 3, პარაგრაფი 6.

სასურსათო განყოფილება სამრევკომს ისეთივე უფლებების მქონე განყოფილებაა, როგორც ჯანმრთელობის, მართველობის, იუსტიციის და სხვა.

მდგომარეობის სისრულემ და დაგვალებულ საქმის შესრულების აუცილებლობის შეგნებამ გვაიძულა ჩვენ ჩვენი საუკეთესო ამხანაგები მოგვეხსნა სხვა, შეიძლება ძალიან მნიშვნელოვან პოსტებიდან, და გაგვეგზავნა სამუშაოდ. სასურსათო განყოფილებაში... როდესაც საჭიროება მოითხოვს, ჩვენ კიდევ სხვა ამხანაგებსაც მივცემთ ამ საქმეს, არ დავერიდებით რა სხვა სამუშაოს დროებით შენელებასაც. ჩვენი გადადგმული ნაბიჯი ჯერჯერობით გამართლებულია. სასურსათო მუშაობა საერთოდ კარგად მიდის და ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ღირსეულად გავიმარჯვებთ ამ ფრონტზედაც... დავაში და კამათშიც ამხანაგურ კილოს ნუ ავშორდებით, სეროზულ დასკვნებს—სასაცილო საბუთებიდან ნუ გამოვიყვანთ,—და დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ უფრო, ნაყოფიერ შედეგებს მივაღწევთ, ვიდრე ახლა.

ქუთ. საჭრევკომის თავმჯდომარის მოადგილე:

გ. ბ[illegible]ძე.

სასურსათო გადასახადის კამპანია

სენაკის მაზრა.

სენაკის მაზრაში შესდგა სასურსათო სამაზრო კომისია 20 ოქტომბერს და პირველ დღიდანვე შეუდგა მუშაობას. მთელი მაზრა დაყოფილ იქმნა 7 რაიონად, თითო რაიონში დაგზავნილ იქნა საუკეთესო ამხანაგები—ინსტრუქტორები, რომლებსაც უნდა გაეცნო გლეხობისათვის სასურსათო გადასახადის დეკრეტის მნიშვნელობა და მიეცა თვითეულის რწმუნებულებისათვის ახსნა-განმარტება თანახმად დეკრეტისა № 60.—ყოველ რაიონში მოეწყო კრებები, სადაც ახსნა-განმარტებების შემდეგ გამოტანილ იქმნა დადგენილებები სასურსათო გადასახადის შესახებ; მშრომელი გლეხკაცობა აღფრთოვანებით ეგებება მთავრობის ნაბიჯებს ახალ ეკონომიურ პოლიტიკის გატარებაში; მშრომელი ხალხი დარწმუნდა, რომ პროვოკაცია მენშევიკების მიერ გავრცელებული ვერ იპოვის გამოძახილს მათ შორის.

ყოველ თითო თემში თუ სოფელში მოეწყო კრებები, ხალხი გულდასმით და დიდი ხალისით ისმენდა ახსნა განმარტებებს, მათ აინტერესებდათ სიმინდის, საქონლის და ღვინის გადასახადი და ახსნის შემდეგ დარწმუნდნენ, რომ გადასახადი არავის დააწვება მძიმე ტვირთად, რომ ეს არის უმცირესი წვლილი შესატანი მუშურ-გლეხურ მთავრობის გასამტკიცებლად, მშრომელთა სასარგებლოდ...

ახსნილ იქმნა, რომ ეს გარდასახადი არის დროებითი, სანამ გაძლიერდება სახელმწიფო ეკონომიურად, განმარტების შემდეგ გლეხების აზრით იყო შეკითხვები—სგულისხმოა ერთი მდგომარეობა, რომელსაც ანგარიში უნდა გაუწიოს მუშურ-გლეხურ მთავრობამ—ეს არის ოქტომბრის და ოქტომბრის თვეების გაუწყვეტელი წვიმები; ამ ორ თვეში რო არ ეწვიმა ჭირნახულის მოსავალი, მიუხედავად დიდი გვალვისა, კარგი იქნებოდა და საკმარისიც, ვიტყვი ზედმეტს სენაკის მაზრა დააკმაყოფილებდა სხვა მაზრასაც: მაგრამ ამ წვიმებმა და სიცივემ დაღუპა მთელი სამეგრელო და მაგ. მარტვილის და გორდის რაიონებში ჭირნახული სრულიად განადგურდა.—ამ რაიონებში მცხოვრებლებს ჭირნახული ზამთრამდის აღარ ეყოფა ამ რაიონების შესახებ სამაზრო რევკომმა სათანადო შუამდგომლობა აღძრა თესლეულობის შესახებ. სხვა რაიონებში მდგომარეობა უნუგეშოა, მაგრამ არის გარანტია სასურსათო გადასახადს ყველა გადაიხდის, მიუხედავად ცუდი ჭირნახულისა—რადგანაც ყველა პატიოსანი მშრომელი გლეხი დარწმუნებულია, რომ ეს ნაბიჯი არ არის მიმართული მის წინააღმდეგ, ის თავის წვლილს ხალისით შეიტანს საბჭოთა ბეღლებში, რომ განმტკიცდეს მშრომელთა ხელისუფლება.—ამ წელს ღვინის მოსავალი საშუალოზე მეტია,—ასე რომ ამ მხრით ჩვენი [illegible] უზრუნველყოფილია. დიდი ხანია, ამდენი ღვინო სამეგრელოში არ მოსულა. თუ წვიმამ გადაიღო, არის იმედი გამოსწორდეს ჭირნახულის მდგომარეობაც.

ყოველ თემში დარიგებულია სასურსათო გადასახადის ბლანკები და ყოველგან სწარმოებს სიის შედგენა, ორი კვირის განმავლობაში სენაკის მაზრაში სიები შედგენილი იქნება, ხოლო გაწერის სისწრაფე დამოკიდებულია სამაზრო კომისიაზე, რომელიც მგონი არ დააყოვნებს თავის მოვალეობის შესრულებას.

ი. შალ—ძე.

წარმოებითი პროფკავშირებში

დაჭრილ დასახიჩრებულ მეომართა კავშირში

შინაური საქმეები

კავშირის და დასახიჩრებულთა საქმის კეთილ-დღეობისათვის ჩვენ ფრიად სასარგებლოდ მიგვაჩნია საქმიანი კრიტიკა. ამ მოსაზრებით ჩვენ აღვნიშნავთ კავშირის შინაურ ცხოვრების ზოგიერთ დეფექტებს. დავიწყოთ, თუ გნებავთ, კულტურულ განმანათლებელ მუშაობიდან. ეს ფრიად მნიშვნელოვანი დარგი ვერ სდგას სასურველ სიმაღლეზე, კავშირში არიან ისეთი წევრები, რომლებმაც წერა-კითხვა არ იციან. ასეთ წევრების მიმართ, იძულებითი ზომების მიღების მომხრე ვართ. სახელოსნოების მუშაობისათვის და კავშირის წევრებისათვის კვირაში ერთჯერ მაინც უნდა იმართებოდეს ლექციები და საუბრები. კავშირს მოეპოვება ისეთი წევრები, რომლებსაც საბჭოთა სისტემის შესახებ, უბნელესი წარმოდგენა აქვთ. ჩვენ არ გვინდა კავშირს ჰყავდეს თუ გინდ ერთი, რომელსაც არ ექნება ნათელი წარმოდგენა მუშურ-გლეხურ მართველობის შესახებ. სამკითხველო კავშირს მოუწყობელი აქვს. კავშირის წევრს საშუალება უნდა მიეცეს თვალყური ადევნოს მიმდინარე ცხოვრებას. ეს კი შესაძლებელია ქართულ ჟურნალ გაზეთების საშუალებით. საერთოდ კულტურულ-განმანათლებელ დარგში, ჩვენ ველით გამგეობისაგან მეტი ინტენსიობის და ფხის გამოჩენას.

— კავშირის ყველა სახელოსნოებში ირიცხება ლამის ცხრა ინვალიდი, ეს რიცხვი მეტად მცირეა, დაუჯერებელია რომ რესპუბლიკაში 29 ინვალიდის მეტი არ მოიპოვებოდეს მათ შორის [illegible], ამა თუ ის ხელობის შესწავლისა. საჭიროა კავშირმა მოახდინოს ფართო პუბლიკაცია, მიმართოს ქალაქის თუ მაზრის სოც. უზრ. განყოფილებებს, პროვინციის რევკომებს და სხვა დაწესებულებებს, და მათი საშუალებით მოითხოვოს ინვალიდები, სახელოსნოებში სამუშაოდ. [illegible], ფეხსაცმელი, ბლომად იქნებიან, ამ საქმის თვის კავშირის გამგეობა ვერ დაერიდება იძულებითი ზომებსაც—დასახიჩრებულთა თვის შეღავათების მოსპობას და სხვებს, თუ კი ისინი არ მოისურვებენ პატიოსან შრომას. ნედლი მასალის ნაკლებობა აბრკოლებს სახელოსნოებში დასახიჩრებულთა კონტინგენტის გადიდებას. მაგრამ ეს გარემოება დროებითი ხასიათისაა და გამგეობის განსაზღვრულ მომენტისათვის მზად უნდა ჰყავდეს სახელოსნოებისათვის საჭირო მუშა ხელი. ნედლი მასალის მიწოდების საქმეში, სოციალური უზრუნველყოფის კომისარიატისაგან, ჩვენ ველით განსაკუთრებულ საქმიანობის გამოჩენას.

— კავშირს ჯერ არ დაუმთავრებია რესპუბლიკის ყველა დასახიჩრებულ მეომართა რეგისტრაცია. ამის დაყოვნება კი ყოვლად შეუძლებელია უნდა გამოყენებულ იქნას მაზრის და ქალაქის სოც. უზ. გ-ბა, აგრეთვე პროვინციის რევკომები და მათი დახმარებით ეს საქმე დამთავრებულ იქნას.

— კავშირის სხვა და სხვა დაწესებულებებში მუშაობენ არა ინვალიდები, კერძო პირები მიღება კავშირის სამსახურში, ჩვენ დასაშვებად მიგვაჩნია, მხოლოდ ერთ შემთხვევაში: როდესაც დასახიჩრებულთა შორის არ მოიპოვება ისეთი პირი, რომელმაც შესძლოს შეასრულოს ესა თუ ის მოვალეობა. სინამდვილეში ჩვენ ვხედავთ, რომ დასახიჩრებულთა შორის ყოველნაირი თანამშრომლების ამორჩევა შეიძლება. მათ შორის არიან მუშა სპეციალისტები, მექანიკოსები, ტეხნიკოსები, ბუღალტრები, ინჟინრები, ორგანიზატორები, საშუალო თუ უმაღლეს სწავლა მიღებულნი, და სხვა. მაგრამ ყველა ესენი სხვა და სხვა მოსაზრებებით, გაურბიან კავშირში სამსახურს. ასეთი პირები მსახურობენ სხვა და სხვა დაწესებულებებში და კავშირიდანაც სარგებლობენ სხვა და სხვა შეღავათით. ჩვენ გადაჭრით მოვითხოვთ კავშირის გამგეობისაგან, რათა სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატთან შეთანხმებით, გამომუშავებულ იქნას წესები, რომლის ძალითაც, კავშირის წევრისათვის, თუ ის საჭირო და სასარგებლოა კავშირისათვის, სავალდებულო იქნება კავშირში სამსახური.

— ინვალიდთა ბავშვთა თავშესაფრის მდგომარეობა ჩვენ არ გვაკმაყოფილებს. ორი მხარეა აქ აღსანიშნავი: ერთია ბავშვთა აღზრდის საქმე, მეორე—მათი საზრდოობა. ჩვენ ყოვლად დაუშვებლად მიგვაჩნია, რომ ბავშვთა აღზრდის საქმე იმყოფებოდეს იმ პირის ხელში, რომლის რელიგიოზური ფანატიზმი ყოველს საზღვარს ცილდება. რა უნდა გამოვიდეს იმ ბავშვიდან, რომელიც ყოველ წუთს ხედავს თავის აღმზრდელს მეტანიებს, ხელებ აპყრობილ ლოცვას*) და სხვა? ვორონცოვ-დაშკოვის „ტატს დამები" მონებს ზრდიდენ ბავშვებიდან, და არა თავისუფალ მოქალაქეს. ყოველივე ეს კარგად მოეხსენება კავშირის გამგეობას, მაგრამ რადაც გულგრილობით კაცთ-მოყვარეობით, თავშესაფრის დღევანდელ გამგეს არ აცილებენ თავის „საყვარელ საქმეს". ჩვენ სულით და გულით მომხრე ვართ ამ ქალბატონს მიეცეს ყოველგვარი დახმარება, ხოლო მთელი ჩვენის არსებით წინააღმდეგი ვართ, ბავშვთა აღზრდის საქმე ამ პიროვნებულ მოხუცის ხელში იმყოფებოდეს. ამიტომ კავშირის გამგეობისაგან ჩვენ მოვითხოვთ თავშესაფრის დღევანდელ გამგის გადაყენებას, როგორც შეუფერებელ პირისას, და მის მაგიერად ისეთ აღმზრდელის დანიშვნას, რომელიც თანამედროვე ცხოვრებისათვის შესაფერ და ღირსეულ მოქალაქეს აღზრდის.

ბავშვები ცუდად იკვებებიან, საერთო სასადილოდან მიღებული სადილი ბავშვებისათვის არ გამოდგება. პარხის წვენი ბავშვების ნორჩ კუჭებს ვერას შეჰმატებს. გამგეობამ დაადგინოს, რომ ბავშვებისათვის ცალკე მზადდებოდეს სადილი, რომ თვითეულ მათგანს დღეში ეძლეოდეს ერთი-მეორედ გირვანქა პური, უნდა გატარებულ იქმნას ცხოვრებაში. უშაქრო ჩაის მიცემა ბავშვებისთვის მიუღებელია. კიდევ ერთი შენიშვნა: როდესაც ბავშვი ხდება ავად, ვთქვათ, ნაწლავების ან კუჭის ავადმყოფობით, მისთვის უკვე ჩვეულებრივ სამკურნალო საჭმლის მიცემა აღარ შეიძლება. ასეთი ბავშვი დიეტაზე უნდა იქნას გადაყვანილი. ხდება კი ეს ასე???

— ხელოვნური ხელ-ფეხის ანუ „პროტეზის" სახელოსნოს საკითხი დიდ ჭირვეულ საკითხად გადაიქცა. ჯანმრთელობის კომისარიატი არ ეცდება ამ სახელოსნოს. ნეტავ მაინც თავის დანიშნულების სიმაღლეზე იდგეს იგი. მას ახლა [illegible] სახელოსნოს მუშები კერძო „ზაკაზების" აღებით უფრო არიან გართულები, ვიდრე პირდაპირი მოვალეობის შესრულებით. სახელოსნოს შიგნით ნაყოფიერება ძალიან დაცემულია. „პროტეზების" ძლიერ მცირე რიცხვი მზადდება. დასახიჩრებულ მეომართა კავშირის ყველა სახელოსნოების წარმატებით მუშაობა მჭიდროდ არის დაკავშირებული „პროტეზების" სახელოსნოს მდგომარეობასთან. თუ კავშირის რომელიმე სახელოსნოს მუშა-ინვალიდს, ვსთქვათ გაუფუჭდა პროტეზი და თავის დროზე არ შეუკეთეს, ის უნდა მოსცდეს სამუშაოს, ვინაიდან უპროტეზოთ მუშაობა ინვალიდს არ შეუძლია. საჭირო შემთხვევაში ინვალიდმა უნდა მიჰმართოს ჯანმრთელობის კომისარიატს, რომელიც რიგში სწერს მთხოვნელს და ალლახმა უწყის, როდის უნდა ეღირსოს ის „პროტეზის" შეკეთებას. ამ მდგომარეობით, რასა თქმა უნდა, ზარალობს საქმე, ზარალობს სახელმწიფო საწარმო. დასახიჩრებულ მეომართა კავშირი, ყველა ორგანიზაციებზე უფრო დაინტერესებულია პროტეზების სახელოსნოთი, მისი წესიერი მუშაობით. ჩვენ გვგონია, რომ საქმისათვის უფრო სასარგებლო იქნება, თუ „პროტეზების" სახელოსნო გადაეცემა დასახიჩრებულ მეომართა კავშირს. რამდენადაც ვიცით, ამის შესახებ შესაფერისი შუამდგომლობა აქვს აღძრული კავშირის გამგეობას და იმედი გვაქვს, რომ სოციალური უზრუნველყოფის კომისარიატი ამ სამართლიან მოთხოვნილებას დაიცავს საქართველოს რევკომის წინაშე. როგორც დაინტერესებული ორგანიზაცია, კავშირი გამოაცოცხლებს ამ სახელოსნოს, მოკლე ხანში მიაწოდებს რესპუბლიკას ახალ კადრს სპეციალისტებისას „პროტეზების" კეთების საქმეში და „პროტეზებსაც" გაცილებით მეტს დაამზადებს, ვიდრე ამ ჟამად მზადდება აღნიშნულ სახელოსნოში.

— ინვალიდთა შრომის მიზან შეწონილ გამოყენებით მუშურ გლეხურ სახელმწიფოს ახალ-ახალი ღირებულება ემატება—იგივე სახელმწიფოს დიდი ეკონომია რჩება მით რომ დასახიჩრებულნი, თავის თავს თვითვე ირჩენენ და არ აწვებიან მას მძიმე ტვირთად. დასახიჩრებულ მეომართა კავშირი თავის მუშაობით ორივე ამ გარემოებას ხელს უწყობს და ამიტომ ჩვენ ვამბობთ რომ კავშირი აკეთებს დიდ სახელმწიფოებრივ და საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმეს.

დიდი პასუხისმგებლობა აქვს დაკისრებული კავშირის გამგეობას და ყველა შეგნებულ მოქალაქის მოვალეობაა დაეხმაროს მას ამ საქმეში. ჩვენც ამ სურვილით ვხელმძღვანელობდით, როდესაც გაზეთის ფურცლებზე შევეხეთ კავშირის ზოგიერთ საჭირბოროტო საკითხებს.

გ. მ.

---

*) გამგეს არ იცის ქართული ენა, უმრავლესობა ბავშვებისა კი ქართველებია.

ლტოლვა კომუნისტურ პარტიისაკენ

მე, მიხეილ დიმიტრის ძე ქებაძე, ვირიცხებოდი საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში, მაგრამ, ვინაიდან დავრწმუნდი, რომ ამ პარტიის მუშაობა არ იყო და არც ეხლა არის მიმართული მუშათა კლასის საკეთილდღეოდ, ამისთვის მე ვგმობ იმის მაშინდელ და დღევანდელ პოლიტიკას, გამოვდივარ ამ პარტიიდან და ვმუშაობ საბჭოთა ხელისუფლების განსამტკიცებლად, რომელიც ნამდვილი დამცველია მუშათა კლასის ინტერესებისა.

მიხეილ დიმიტრის ძე ქებაძე.

5 ნოემბერი 1921 წ.

სოციალისტ. რევოლიუციის წლისთავი და სოციალური უზრუნველყოფა საქ-ში

ეს რამდენიმე თვეები საბჭოთა ხელისუფლების არსებობისა საქართველოში არის ხანა წვრილ-ბურჟუაზიულ სტიქიის დახავსებულ ზედნაშენთა ძირითად ნგრევისა, რომლითაც (სტიქიით) გაჟღენთილია მენშევიკურ საქართველოს, ამ განსახიერებულ „რომანტიულ რეაქციის" ქვეყნის, სახელმწიფოებრივ აპარატის ყველა კუნჭულები.

სოციალისტურ უზრუნველყოფის კომისარიატს არარაობიდან უნდა შეექმნა რამე.

საბჭოთა რუსეთის პრაქტიკა, რომელიც დღეულ ნაყოფს იძლევა იქ, გადატეხილი საქართველოს სინამდვილის სარკეში—უსიცოცხლო თეორიათ ხდებოდა.

ამ დებულებას ანგარიში უნდა გაეწიოს თუ გვინდა, რომ სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატის მოღვაწეობის კრიტიკა ობიექტიური იყოს. სახელმწიფოებრივი უზრუნველყოფის იდეას მენშევიკური საქართველო არ იცნობდა და ეს სრულიად გასაგებია. კაპიტალისტურ კლასს არ წამოუყენებია და არც შეეძლო წამოეყენებინა საზოგადოებრივ უზრუნველყოფის იდეა, ვინაიდან, ის ეწინააღმდეგება კაპიტალისტურ საზოგადოების მთელ ბუნებას, ბურჟუაზიულ კლასიურ იდეოლოგიას. უზრუნველყოფა არღვევდა ბურჟუაზიის ინტერესებს და წინააღმდეგობაში იყო მის კლასიურ ამოცანებსა და მიზნებთან. მენშევიკური საქართველო თავისი ბუნებით და ამოცანებით შორს ვერ წავიდოდა ბურჟუაზიულ ქვეყნებისგან. მენშევიზმის იდეოლოგიამ თავის თანდაყოლილ წვრილ ბურჟუაზიულ სულისკვეთებით მთელი თავისი სიღატაკე გამოაშკარავა მშრომელთა უზრუნველყოფის საკითხებში.

როგორი იყო მენშევიკებისგან ჩვენ მიერ მიღებული მემკვიდრეობა ამ ჩვენთვის საინტერესო სფეროში? შინაურული წესი უზრუნველყოფის საკითხებში, ვიწრო ჯგუფობრივობა, კერძო ქველმოქმედება—ფილანტროპია და სრული არევ-დარევა ერთდროულ დახმარების და სხვა თანხების განაწილების საქმეში მეფობდნენ ყველგან და ყოველგან. საქართველოს სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატს დასჭირდა ბევრი დრო [illegible] იმისთვის, რომ თავი მოეყარა ამ ფილანტროპიულ საზოგადოებების დაქსაქსულ, წვრილ აპარატებისთვის, რომ მისგან შეექმნა რამე მთლიანი და რეალური. და პირველი დეკრეტი საქართველოს რევკომისა მიმართული იყო ზემოდ დასახელებულ ორგანიზაციების ლიკვიდაციის და მათი ფუნქციების მთლიანად სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატისთვის და კერძოდ მის ადგილობრივ დაწესებულებებისადმი გადაცემისკენ. მოკლებულნი „სახელმწიფოებრიობის" ნიშანწყალს ეს კერძო საქველმოქმედო დაწესებულებები წარმოადგენდნენ მხოლოდ [illegible], რომელზედაც უზრუნველყოფის საქმიანობა, რასაკვირველია, ვერ აშენდებოდა. კერძო, ფილანტროპიული ორგანიზაციები სამუდამოდ უნდა გამქრალიყვნენ.

პროლეტარულ სახელმწიფოს უნდა წამოეყენებინა უზრუნველყოფის იდეა მთელი თავისი სისრულით და ბრწყინვალებით. სოციალური უზრუნველყოფა დაუძლეველ იარაღად უნდა გამხდარიყო პროლეტარულ ხელისუფლებისთვის. ამისთვისაც ეს იდეა, როგორც რუსეთში, ისე საქართველოში გამოცხადებულ იქნა სახელმწიფოებრივ ხასიათის იდეათ. სახელმწიფოებრივი მზრუნველობა ლატაკებზე უნდა გამხდარიყო საბჭოთა ხელისუფლების ერთ უმთავრეს საქმეთ. ეს აზრი არ შეარცხვენს უზრუნველყოფის კომისარიატს, როდესაც ის, სოციალურ უზრუნველყოფის წლის თავზე, თავს უყრის თავის მუშაობის ნაყოფიერების ჯამს. საუბედუროდ, ზოგიერთ პასუხისმგებელ მუშაკების მხრივ, მუშაობა სოციალურ უზრუნველყოფის დარგში არ მიმდინარეობდა საკმაო ყურადღებით, რასაც ნერვიულობა შეჰქონდა სახალხო კომისარიატის მოღვაწეობაში და ამცირებდა სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატის მუშაობის ნაყოფიერებას.

თუ შეიძლება ლაპარაკი ჩემს მუშაობაზე, მაშინ ჩვენ გვაქვს სრული საფუძველი განვაცხადოთ სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატზე, როგორც ერთ მეტად ჩუმს დაწესებულებაზე საბჭოთა ორგანიზაციების სისტემაში. სახ. კომისარიატის მუშაობა ყოველთვის იყო ჩუმი და შეუმჩნეველი.

გადავდივარ, კონკრეტიულად, თვითონ სოციალურ უზრუნველყოფის სახ. კომისარიატის მოღვაწეობაზე, არ უნდოდა რა დაეტოვებია თბილისში ორი დამოუკიდებელი აპარატი, როგორც ქალაქის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილება, რომელიც მუშაობდა ქალაქის მასშტაბით და სამაზრო სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილება, რომელიც მუშაობდა თბილისის მაზრის მასშტაბით—სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატმა თავის ხელში აიღო ამ ორი დაწესებულების მოვალეობანი. რესპუბლიკის მასშტაბით მუშაობის მოწყობასთან ერთად სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატმა ხელში აიღო აგრეთვე მიმდინარე, ყოველდღიური, შავი სამუშაო საქმე ქალაქის და მაზრის ფარგლებში. ეს არსებითი მომენტია კომისარიატის ცხოვრებაში, რაიც აღნიშნულ უნდა იქნას.

ეხლა ძნელია სისწორით აღრიცხვა საბჭოთა საქართველოს ტერიტორიაზე უზრუნველყოფის მფარველობის ქვეშ მყოფთა ყველა კატეგორიებისა. მათი რიცხვი მეტად საგრძნობია. დაახლოვებითი გამოანგარიშებით სახალხო კომისარიატის მთელ რესპუბლიკის დაწესებულებათა ხელში გაიარა თვიურად ათი ათას კაცზე მეტმა. დახმარება, რომელიც მათ ეძლევათ ფულით ერთდროულ დახმარების სახით პენსიით, ტანსაცმლით, სურსათით და სხვა მიუხედავათ მძიმე ეკონომიურ პირობებისა—იყო ეჭვსგარეშე საგრძნობი.

ფულის ნაკლებობა, ნაკლებობა ნატურალური მარაგისა ბევრად ხელს უშლიდა მუშაობას, მაგრამ ამ დაბრკოლებათა მიუხედავათ, მშრომელთა ნაწილი, ბედის მიერ გამოთიშული შრომის პროცესიდან ერთის მხრივ და მრავალი ასეული თუმცა მუშაობაში ჩაბმული, მაგრამ ჩავარდნილნი სიღატაკეში, პოულობდნენ მხურვალე გამოძახილს სოციალურ უზრუნველყოფის დაწესებულებათა მხრივ, ღებულობდნენ რა მათგან მორალურ და მატერიალურ დახმარებას.

ისახავს რა თავის მიზნათ ინვალიდთა სახლების მოწყობას შრომის უნარ დაკარგულთათვის, სახალხო კომისარიატი მათ გარშემო აწყობს სამრეწველო დაწესებულებებს. ასეთი სახელოსნოები თბილისში მოწყობილი გვაქვს ათამდი. ვასწავლით რა ამ სახელოსნოებში ხელობას შრომის უნარ დაკარგულებს და ვაყენებთ რა მათ შერჩენილ შრომის უნარს სოც. უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი, მომხმარებელ ორგანიზაციიდან, ყოველ შემთხვევაში ნაწილობრივ მაინც ადგება წარმოებითი მეურნეობის გზას. და როგორ გასაკვირველად არ უნდა მოგვეჩვენოს, მაგრამ სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა განყოფილება ამ ჟამად აწარმოებს მოლაპარაკებას მომარაგების საბჭოსთან სახელმწიფო საჭიროებისათვის წინდების დამზადების შესახებ, რომელ საქმესაც თავზე იღებენ სამამისო სახელოსნოში მომუშავე ინვალიდები.

არა მაქვს რა საშვალება შევჩერდე სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის მოღვაწეობის სხვა მხარეებზე, მე ნებას მივცემ თავს ყურადღება მივაქციო სახალხო კომისარიატის მომავალ მუშაობის არსებით მომენტებზე. ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლით, უნდა გადასინჯულ იქნას სოციალურ უზრუნველყოფის მეთოდებიც, ახალ ეკონომიურ ამოცანების მიხედვით. მისი მეურნეობითი მხარე უნდა შეიქნეს მეტ მამოძრავებელ ძალათ ახალი ცხოვრების აღმშენებლობის საქმეში. სწორედ ეს მხარე უნდა შეიქნეს ქვაკუთხედათ საქართველოს მშრომელთა უზრუნველყოფის პოლიტიკის საქმეში.

ბევრს რომ არ მოვყვეთ, საჭიროა მეტი მომჭირნეობით, შემოვფარგლოთ მშრომელთა კლასის სიღატაკეში ჩავარდნილი ნაწილი. ბევრ ობიექტიურ პირობების წყალობით, მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს არ შეუძლია ყველას უზრუნველყოფა თვით მშრომელთა დაუხმარებლად. ამისთვის უზრუნველყოფის საქმეში ჩათრეულ უნდა იქნას თვით მასები ურთიერთ დახმარების კომიტეტების მოწყობით საბჭოთა საქართველოს დაბებში და სოფლებში, რომლების შემწეობითაც მცხოვრებნი სავალდებულო ნატურალური თვით-დაბეგვრით—უზრუნველყოფენ იმ პირთა კატეგორიას, რომელიც სიღატაკეში ჩავარდა სოფლის თუ დაბის ტერიტორიაზე და სხვა. ეს მიზანი მიღწეულიც იქნება. მეორეს მხრივ [illegible] გადასახადების სისტემამ სპეციალურად სოციალურ უზრუნველყოფის საჭიროებისათვის (გადასახადი რკ. გზის ბილეთებზე, კერძო ტვირთების გადატანაზე, გასართობი ადგილების და სხვ.) ამნაირად, სახელმწიფო შეიმსუბუქებს თავის მდგომარეობას, გადატვირთავს რა თავის მოვალეობათა ნაწილს მასებზე.

საქართველოს სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა, თავის ახალ ამოცანების შესასრულებლად საქ. რევკომს დასამტკიცებლად წარუდგინა დეკრეტების ორი პროექტი, დამხმარე კომიტეტების ორგანიზაციის შესახებ, რომლებიც გაატარებენ სპეციალურ გადასახადს სოციალურ უზრუნველყოფის საჭიროებისათვის.

ასეთია საერთო ხაზები სოც. უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის მოღვაწეობისა, მძიმე სამუშაოსი. ბევრი ჯერ კიდევ წინ არის. ბევრია კიდევ დასაძლევი ჩვენ გზაზე, მაგრამ ყველა ისინი დაძლეულ იქნებიან.

სოციალურ უზრუნველყოფის საქმის იდეალურად დაყენება იქნება ერთი საუკეთესო მონაპოვართაგანი სოციალურ რევოლიუციისა.

ო. ცინცაძე.

ბიულეტენი

საქართველოს ფიზიკური ობსერვატორიის.

ტფილისი 8 ნოემბერი 1921 წ.

ნაშუადღ. 1 საათ.

ჰაერის წოლა მმ.: 727.2; ჰაერის ტემპერატ.: 17.6; შეფარდებითი სინოტივე პროც.: 39; მოღრუბლულობა: 1; ქარი № 4.

საღამოს 9 საათ.

ჰაერის წოლა მმ.: 729.2; ჰაერის ტემპერატ.: 7.3; შეფარდებითი სინოტივე პროც.: 86; მოღრუბლულობა: 0; ქარი: № 1; ჰაერის საშუალო ტემპერატურა: 8 ნოემბერი: 9.1; ნორმალი: 9.2; მაქსიმალი: 18.6; მინიმალი: 1.9.

დილის 7 საათ 9 ნოემბერი

ჰაერის წოლა მმ.: 732.8; ჰაერის ტემპერატ.: 2.3; შეფარდებითი სინოტივე პროც.: 96; მოღრუბლულობა: 0; ქარი: № 0; ატმოსფერის ნალექი მმ.: -- შენიშვნა: რთვილი ღამ. დილ.

დილის 7 ს. 8 ნოემბერი 1921 წ.

დაკვირვების ადგილი.	ჰაერის ტემპერ.	მინიმ. ტემპერ.	ნალექი მმ.	ქარი	[illegible] ღელვა
ტფილისი	2.4	2	—	№№ 1	—
ბორჯომი	0.4	—	—	—	—
ფოთი	11.0	10	—	63	0
სოხუმი	13.8	14	—	—	—

შენიშვნა:

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22 ტელ. 5—74.

— 1-ლი რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136. თეატრი „ნაძალადევი" ტელ. 1—33.

— მე-2 რე რაიონის ბიურო—[illegible]ხეილის ქ. № 87. ტელ. 5—69

— მე-3-ე რაიონის ბიურო—ავლაბარი. კახეთის მოედანი. 5—55.

— მე-4-ე რაიონის ბიურო—[illegible] და ქ. 29 „მუშათა კლუბის" შენობაში. 9—52.

— მე-5-ე რაიონის ბიურო—[illegible] ქუჩა.

— საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა—რუსთაველის პრ. 22.

სარედაქციო კოლეგია.

განცხადებანი

განცხადებანი მიიღება მხოლოდ ნაშუადღევის 2 საათამდის.

საბჭოთა აღმშენებლობის გამოფენა

გამოფენა გაიხსნება 3 დღით: 7, 8 და 9 ნოემბერს, 10-დან 4 საათამდის, ყოფილი არტისტიული საზოგადოების შენობაში; (რუსთაველის პროსპექტი № 19) გამოფენაზე განმარტებას მისცემენ სახალხო კომისარიატების წარმომადგენლები თავიანთ დაწესებულებების ექსპონატების შესახებ. ს. გ. კ. მუსიკალურ განყოფილებას განზრახული აქვს გამოფენაში მონაწილეობა მიაღებინოს ხოროს და სოლისტებს. სასურველია, რომ 8 და 9 ნოემბერს გამოფენას დაესწრონ კოლექტივები, ქარხნების და ფაბრიკების მუშები, მოსამსახურეები, მოწაფეები და სხვა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცეკა

პარტიული დისციპლინის წესით წინადადებას აძლევს ამხ. არტემ კვირიკაძეს და ხაჩატუროვს სამი დღის განმავლობაში გამოცხადდნენ ცეკას აღმრიცხველ განმანაწილებელ ქვე განყოფილებაში.

ორგან. განყ. გამგე: დონენკო

აღმრ. განმან. განყ. გამგე: [illegible]

რევტრიბუნალის სესია

ა. წ. 10 ნოემბერს უზენაეს რევტრიბუნალის სესია, შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე ჩხეიძე, დროებითი კოლეგიის წევრნი მინდიაშვილი და მიქაელიანი, მიემგზავრება ქ. შულავერში გასარჩევად შემდეგი საქმეებისა: ეფიმ [illegible], რომელსაც ბრალდება კონტრ-რევოლიუცია და სპეკულიაცია; და შულავერის რევკომის თავმჯდომარის ფრიუმოვისა, რომელსაც ბრალდება ხელისუფლების გადამეტება.